საქართველო, ქ. თბილისი
შ.პ.ს. „მონოლითი“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

№82/14 „25“ ივნისი 2014 წ.

შ.პ.ს. „იორდანე“-ს დირექტორს,
ბატონ ზაურ მერაბიშვილს.

ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, გორის ქუჩა №1-ში, შ.პ.ს. „იორდანე“-ს დაგეგმილი აქვს სავაჭრო-საოფისე ობიექტის აშენება. პროექტის არქიტექტურული ნაწილი, დამუშავებულია შ.პ.ს. „DVA”-მიერ მიმდინარე წლს. პროექტით შენობა სარდაფის მქონე (იატაკის ნიშნულით -2.95მ. გეოდეზიური ნიშნული 444.79მ.) ოთხ სართულიანია.
კონსტრუქციულად გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის კარკასულ ვარიანტში. კარკასის სვეტების ძირითადი განივი კვეთებია b×h=40×40სმ. სართულშუა გადახურვებად გამოყენებულია მონოლითური რკინაბეტონის წიბოვანი ფილები, სისქით δ=18სმ. წიბოების განივი კვეთებია b×h=40×60სმ. საძირკვლებს წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის მთლიანკვეთიანი ფილა, სისქით δ=40სმ. კონტურზე, გრუნტთან შეხების ფარგლებში, გამოყენებულია მონოლითური რკინაბეტონის კედლები სისქით 30სმ. გენგეგმის მიხედვით, საპროექტო ობიექტი ჩრდილოეთიდან „თ“ ღერძის გასწვრივ ღერძებში „1“÷“3“ უშუალოდ ემიჯნება, გორის ქუჩა №3-ში მდებარე სამ სართულიან წითელი აგურით ნაშენი მზიდ კედლებიანი საცხოვრებელი სახლის ტორსულ კედელს. ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნიდან გამომდინარე, არსებული შენობა მიწის ზედაპირიდან ჩაღრმავებულია 120სმ.-ით. (გეოდეზიური ნიშნული 446.1მ.). საძირკველი ყორე წყობისაა სიმაღლით 70სმ. იგი დაფუძნებულია ფენა №2-ზე, თიხნარები. მოყვითალო-მოყავისფრო თიხოვანი გრუნტი, ხვინჭისა და ღორღის ჩანართებით, შემდეგი ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებით:

სიმკვრივე	$\rho=1.92$ტ/მ^3.
შიდა ხახუნის კუთხე	$\varphi=21^0$
ხვედრითი შეჭიდულობა.	$c=0.20$კგძ/სმ^2.
დეფორმაციის მოდული	$E=270$კგძ/სმ^2.
პირობითისაანგარიშო წინაღობა.	$R_0=2.5$კგძ/სმ^2.

ზემოთ აღინიშნა, რომ საპროექტო ობიექტი „თ“ ღერძის გასწვრივ ღერძებში „1“÷“3“ უშუალოდ ემიჯნება, გორის ქუჩა №3-ში მდებარე სამ სართულიან წითელი აგურით ნაშენი საცხოვრებელი სახლის ტორსულ

კედელს. ასეთ შემთხვევაში იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს არსებული შენობის საძირკვლებისა და შესაბამისად კედლების მზიდუნარიანობა, საჭიროა მოეწყოს შპუნტური კედელი, ან გატარდეს სხვა ღონისძიება. მოცემულ შემთხვევაში, საპროექტო შენობისათვის მიღებული იქნა შემდეგი კონსტრუქციული ღონისძიება. კერძოდ: საპროექტო შენობის კედელი სარდაფის ფარგლებში, მომიჯნავე (გორის ქუჩა №3-ის) ტორსული კედლიდან მოეწყო 255სმ.-ის დაშორებით. პირველი სართულის სვეტები ±0.00მ. ნიშნულიდან მოეწყო კონსოლურ ნაწილზე.

საპროექტო შენობა აღმოსავლეთიდან ემიჯნება სს. „თელასი“-ს ერთ სართულიან სატრანსფორმატორო ჯიხურს (საკადასტრო კოდით №01.13.07.016.007). ჯიხურამდე მანძილი აღმოსავლეთიდან 350სმ-ია; ხოლო სამხრეთიდან 65სმ. ასევე აღმოსავლეთიდან წერეთლის ქუჩა №11-ში, საპროექტო შენობას ესაძღვრება წითელი აგურით ნაშენი ორ სართულიანი სახლი (საკადასტრო კოდით №01.13.07.016.020). რომელსაც გააჩნია ერთ სართულიანი მინაშენი წვრილი საკედლე ბლოკებისაგან. მანძილი მინაშენამდე 105სმ.-ია; ხოლო საცხოვრებელ შენობამდე 270სმ.

შ.პ.ს. „მონოლითი“ საკითხის შესახებ გაცნობებთ, რომ გორის ქუჩა №1-ში, საპროექტო შენობა, არანაირ უარყოფით ტექნიკურ ზეგავლენას არ მოახდენს მომიჯნავედ, გორის ქუჩა №3-ში მდებარე სამ სართულიან საცხოვრებელ სახლზე, როგორც მშენებლობის, ასვე ექსპლოატაციის მთელი პერიოდის განმავლობაში. ასევე გაცნობებთ, რომ საპროექტო შენობა არ იქონიებს უარყოფით ტექნიკურ ზეგავლენას სს. „თელასი“-ს ერთ სართულიან სატრანსფორმატორო ჯიხურზე და აკ. წერწთელის გამზირი №11-ში მდებარე ორ სართულიან საცხოვრებელ სახლზე, ერთ სართულიან მინაშენთან ერთად.

შ.პ.ს. ”მონოლითი”-ს დირექტორი. /გ. იაშვილი/

მთავარი ინჟინერი. /მ. საველიძე/